



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Legal Entity Public Law
SAMTSKHE -JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL



ოქთი № 3

„ 22 „ 03

2019 წ

დადგენილება № 9

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პროექტების შეფასებისა და მონიტორინგის კომისიის დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პიველი და მე-2 ნაწილებისა და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე -3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დაინიშნოს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პროექტების შეფასებისა და მონიტორინგის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე:

- მალხაზ ლომსაძე

ბ) კომისიის წევრები:

- თეიმურაზ გვარამაძე

- როინ ყავრელიშვილი

- ცისკარა ზარანდია

2. კომისიის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 1 წელი.

3. უნივერსიტეტის სამეცნიერო პროექტების პრიორიტეტულ მიმართულებად მიმდინარე წელს განისაზღვროს აგრარულ მეცნიერებათა მიმართულება.


4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

2.



მაკა ბერიძე